
1. მისამართი: ქალაქი თბილისი,
ქუჩა №55
2. ობიექტის დასახელება: ქარხანა
(რეკონსტრუქცია)
3. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო:
სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
შარტავას ქუჩა №7
4. განაცხადის განხილვის ვადები-
15.03.2021 - 20 სამუშაო დღე
5. შენობის პარამეტრები:
სართულიანობა: 3 სართული
კ2 ფართობი: 3065.1 მ2
სამშენებლო მოცულობა: 16922.72 მ3
6. სამართლებრივი აქტის ნომერი:
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების
პირობები: 22.06.2018 წელი
ბრძანების ნომერი №4029923 (AR1593498)
7. მშენებლობის ნებართვის მფლობელის
საკონტაქტო ინფორმაცია:
ივანე თარხნიშვილი პ.ნ: 01018000243
ორგანიზაცია: შპს "სითი ლოფტი"
ტელ: 577999992
3/15/2021


3/15/2021

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადგენად

ობიექტის დასახელება – შენობის დემონტაჟი.

დამკვეთი – შპს „სითი ლოფტი“ (დირექტორი ვალერი ჩეხერია).

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქ.№55, პურის ქარხნის ტერიტორია.

დაპროექტების სტადია – წინასაპროექტო დოკუმენტაცია.

შენობის სარდაფში, ჩვენს მიერ გაყვანილი შურფების აღწერის და თქვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების საფუძველზე, შეგვიდგინეთ ზემოთდასახელებული შენობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: სქემატური გეგმა

დავალება გასცა ვ. ჩეხერია

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში არსებული 3 სართულიანი შენობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

შპს „სითი ლოფტი“-ს (დირექტორი ვ. ჩეხერია) დაკვეთით (ხელშ.№5/2018), შპს „გეოინჟკომპლექსმა”, ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული შენობის დემონტაჟისთვის, შეადგინა საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, რომლის მიზანს წარმოადგენდა დასახელებული უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება, დამკვეთის მიერ გაყვანილი შურფების აღწერის და განყოფილების ხელთარსებული საარქივო მასალების საფუძველზე.

დასახელებული უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში, ჩუბინაშვილის და კონსტიტუციის ქუჩების გადაკვეთაზე, ყოფილი პურის ქარხნის ტერიტორიაზე.

გეომორფოლოგიურად, უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის, ძველი ჭალისზედა (II ტერასა) ტერასის ნაწილს, მოსწორებული რელიეფით, უმნიშვნელო დახრით მდინარის მიმართულებით.

ტექნიკური დავალების თანახმად, დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა 3 სართულიანია, სარდაფის ერთი სართულით. ზომებით 7×18,5 მ. სარდაფის ჩაღრმავებით 2,80 მ, პირველი სართულის იატაკიდან. შენობა აშენებულია XX საუკუნის ბოლოს.

დამკვეთის მიერ სარდაფის სართულის იატაკიდან გაყვანილი იქნა 3 შურფი, რომლის აღწერის საფუძველზე აგებულია შურფების ლითოლოგიური სვეტები.

როგორც წარმოდგენილი შურფების ჭრილებიდან ჩანს, შენობა ლენტური საძირკვლებით დაფუძნებულია დელუვიური (dQ_{IV}) გენეზისის თიხოვან (თიხნარი) გრუნტზე. საძირკვლები ბლოკის წყობით არის წარმოდგენილი ჩაღრმავებით სარდაფის იატაკიდან 0,4 მ-ზე. შურფის კედლები ნაყარი გრუნტითაა წარმოდგენილი.

საარქივო მონაცემებით, თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ხვინჭის და ღორღის იშვიათი ჩანართებიანი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის, ღია ყავისფერი თიხნარებით, რომელთა სიმძლავრე მიწის ზედაპირიდან 16–17 მ-ია.

თიხნარები შემოფენილია ალუვიური (αQ_{IV}) გენეზისის მსხვილნატეხოვანი – 30%-მდე ქვიშის შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით, ხილული სიმძლავრით 2,0–2,5 მ.

გრუნტის წყლის გავრცელების სავარაუდო დონე 4,5–5,0 მ-ის ფარგლებშია, რომლის გავრცელების დიაპაზონში, თიხნარები რბილპლასტიკურია.

გრუნტის წყალი, რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ, ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის სხვადასხვა ხარისხის თვისებებს:

ა) საშუალოდ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

ბ) სუსტად აგრესიულია W_6წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ზემოაღნიშნულის თანახმად, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

2. უბნის ლითოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სგე):**

   I სგე – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი;

   II სგე – წყლის გავრცელების ზონაში, რბილპლასტიკური კონსისტენ-ციის თიხნარი;

   III სგე – კენჭნაროვანი გრუნტი.

   შენიშვნა: ტექნოგენური გრუნტის (ნაყარი) სიმძლავრე, მიღებული იქნეს (2,80+0,4=3,20 მ) I სართულის იატაკის ნიშნულიდან.

3. საარქივო მონაცემებით, ზემოთ ჩამოთვლილ გრუნტებზე პირობითი საანგარიშო წინაღობა მიღებულია:

   თიხნარებისთვის R_0=200 კპა (2,0 კგძ/სმ^2);

   კენჭნარებისთვის R_0=600 კპა (6,0 კგძ/სმ^2);

4. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

5. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV-2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
   ა) ნაყარი გრუნტი – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ³ (რიგ. №24ბ);
   ბ) თიხნარი – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ³ (რიგ. №33ბ).

6. წინამდებარე დასკვნა შედგენილია დამკვეთის მიერ გაყვანილი შურფების აღწერის და საარქივო მასალის გამოყენების საფუძველზე, არსებული შენობის დემონტაჟისთვის.

   მოცემულ უბანზე ახალი შენობის დაპროექტების შემთხვევაში, საჭირო იქნება დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩატარება, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების შესაბამისად.

ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№55. შენობის დემონტაჟის უბნის სქემატური გეგმა, შურფების დატანით

ჩუბინაშვილის ქ

შ№2

3 ქ/ა

7.0

შ№1

±0.00=

სარდაფის იატაკი -2.80

შ№3

ზეძირკველი +0.5 მ

18.5

კონსტიტუციის ქ

ყოფილი პურის ქარხნის ტერიტორია

გოგოლის ქ

ფურცელი №1